N 37
15/01/2021

37-01-3-202101151824

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის
პირველ მოადგილეს ბატონ ლევან
მურვანიძეს

ამავე სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრის უფროსის
ფუნქციების დროებითი შემსრულებლის
ნინო სუხიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

როგორც მოგეხსენებათ, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრში მიმდინარეობს მძღოლებისა და კომპანიის მენეჯერების მომზადება, IRU-ს მიერ აკრედიტებული პროგრამების შესაბამისად. ასევე საკვალიფიკაციო ცენტრში მიმდინარეობს სპეციალისტთა მომზადება შემდეგი სპეციალობებით:

ADR შესაბამისად მძღოლების სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საბაზისო მოსამზადებელი ტრენინგი.

ADR შესაბამისად მძღოლების ცისტერნებით გადაზიდვის მოსამზადებელი ტრენინგი.

ADR შესაბამისად მძღოლების პირველი კლასის ნივთიერებათა გადაზიდვის მოსამზადებელი ტრენინგი.

მომზადების შედეგად, მაძიებელზე, ვინც მიიღო დადებითი შეფასება, გაიცაემა პლასტიკური ბარათი.

მოგეხსენებათ საქართველოში მრავლად არის არაქართული მოსახლეობა, რომელთაც მხოლოდ რუსულ ენაზე შეუძლიათ წერა-კითხვა. შესაბამისად ADR მძღოლის ბარათისათვის ტრეინინგის გავლა სურთ მათთაც. ვინაიდან სააგენტოში არ არის ნებადართული მათი ტრეინინგზე დასწრება თარჯიმანთან ერთად, მათივე ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა მოცემული ტესტები ითარგმნოს რუსულ ენაზე, რათა შეძლონ გამოცდაზე გასვლა და ჩაბარება, ხოლო შემდგომ აღებული ბარათით საერთაშორისო რეისის განხორციელება.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული მოთხოვნის

უზრუნველყოფა.

სათარგმნი გვერდების რაოდენობა არის 20 გვერდი.

პატივისცემით,

ნინო სუხიშვილი

ნ. სუხიშვილი

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2021.01.20 10:00:07 +04'00'